

## ლადო პაპავა: “სააკაშვილი დაზღვევაზე ტყუილებს ამბობს”

(ინტერვიუს სათაურში გამოტანილი სიტყვები მე არ მეკუთვნის – ეს გაზეთის ოინია!)

გაზეთი “ახალი თაობა” – 5 მარტი, № 54, 2012 წელი.

რა ტყუილები დააპიარა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და გამოკვეთა თუ არა პრეზიდენტმა, რომ ის მხარდაჭერას რუსეთისგან ელის? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, მმართველო პარტია აცხადებს, რომ დებატები შედგა პირველად საქართველოს პარლამენტში. ასეა?

– არა. ჩვენი ნაციონალური არხები და ვაი ექსპერტები მართლაც ხაზს უსვამდნენ, რომ დებატები პრაქტიკაში ვარდების რევოლუციის შემდეგ შემოვიდა, რაც არის ტყუილი. დებატები იყო განუყოფელი ნაწილი შევარდნაძის პარლამენტში გამოსვლის. მაშინ უფრო იყო დებატები, ვიდრე დღეს. ითქვა, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო ჩამოსული და 6 საათზე პრეზიდენტთან ჰქონდა შეხვედრა. რაღა მაინცდამაინც სტუმრის ჩამოსვლას დაამთხვია პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლა. ხომ შეეძლო სხვა დროს მისულიყო პარლამენტში?! მაგრამ ამას აქვს ახსნა – მოსახლეობამ არ უნდა იცოდეს, რა ხდება პარლამენტში; მოსახლეობამ არ იცოდეს, რა ფორმებით მიმდინარეობს საპარლამენტო დისკუსია, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

– რაც შეეხება ძირითად გზავნილებს და კურსს, რომელიც პრეზიდენტმა გამოსატა მმართველი გუნდის ტაშის ფონზე?

– ახლა მთავარი: თვალშისაცემი იყო, რომ პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა თვისობრივად ახალი მიდგომა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მისი განცხადებით უარი უნდა ეთქვას რეიტინგებსა და სტატისტიკას – ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია გაჭირვებული მოსახლეობისთვის. სააკაშვილმა თქვა, ჩვენ გვჭირდება არა რეიტინგებში მაღალი ადგილები, არამედ ის, რომ თითოეულმა ჩვენმა მოქალაქემ იგრძნოს ჩვენს ეკონომიკაში, თუ რა წარმატებებია. აბსოლუტურად

სწორი მიდგომაა. მაგრამ 8 წლისთავზე თქვა ეს სააკაშვილმა, მანამდე ამდენივე წლის მანძილზე საუბარი მხოლოდ რეიტინგებზე იყო. აქამდე არასდოს არ ჰქონია “ვარდისფერ მთავრობას” მიზანი, რომ ქვეყნის მოსახლეობა ყოფილიყო უკეთესად. ახლა მაინც თუ აპირებს მთავრობა იმას, რომ ყურადღება მიაქციოს მოსახლეობას, მე ამას მხოლოდ მივესალმები. თუმცა სააკაშვილმა იქვე თქვა, რომ საქართველოში არის ორი ნაწილი – მდიდარი და ღარიბი მოსახლეობა. ორად არის გაყოფილი საქართველო. მას უნდა იყოს ერთიანი საქართველოს პრეზიდენტი. საქმე ისაა, რომ ამ ფორმულირებაში სააკაშვილს არ ვეთანხმები. საქართველო მართლა ორად არის გაყოფილი და არა მდიდრებად და ღარიბებად, არამედ მის მხარდამჭერებად და ყველა ის, ვინც არ არის მისი მხარდამჭერი, რომელიც არის მტრად ჩათვლილი. ის აგრძელებს კვლავ ამ გზას, რომ საქართველოს იყოს კვლავ ორად გაყოფილი. საქმე ისაა, რომ მდიდრები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მმართველ რეჟიმთან არიან დაკავშირებულნი, ანუ ისინი ისედაც მის(შ)იანები არიან. თავის მხრივ ღარიბებიც სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ხდებიან არჩევნების პროცესში, იმიტომ, რომ მათი ხმების ყიდვა ყველაზე ადვილია არჩევნების წინ – 20 ლარი, 50 ლარი, 100 ლარი. ხოლო ის საშუალო ფენა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ყოველთვის ებრძოდა, არის სწორედ ამ მდიდრებისა და ღარიბების მიღმა.

პრეზიდენტის გამოსვლის ეკონომიკურ ნაწილს თუ მოვაქცევთ ყურადღებას, აქ რამდენიმე მომენტი იკვეთება. სააკაშვილმა თქვა, რომ განიხილავს 5 პუნქტიან გეგმას. კი, მაგრამ, აქამდე მთავრობას 10 პუნქტიანი გეგმა ჰქონდა და რა მოუვიდა, როგორ დავიდა ის 5 პუნქტზე? თან წინასწარ ისე იყო გაპიარებული, პრეზიდენტის გამოსვლაში ნოვაციებს ექნება ადვილი, რომ ველოდებოდი ამ 5 პუნქტიან გეგმაში რაღაც ახალს იტყვის-მეთქი. სინამდვილეში ეკონომიკაში მას სიასლე არაფერი უთქვამს. სააკაშვილმა კი თქვა, რომ 5 პუნქტიანი გეგმას წარმოგიდგენთ, მაგრამ რეალურად მხოლოდ 3 პუნქტზე ილაპარაკა. ამიტომ მხოლოდ 3 პუნქტი ვიცი ამ გეგმიდან და რას გულისხმობდა დანარჩენ ორში წარმოდგენა არ მაქვს. ეს 3 პუნქტია: დასაქმება, სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვა. რაც შეეხება დასაქმებას. იყო თუ არა აქ პრეზიდენტი ორიგინალური? – თქვა ასეთი ორიგინალური რამ, რომ 1 მლნ ტურისტი იძლევა დამატებით 15 000 სამუშაო ადგილს და ამით უნდა გაიზარდოს დასაქმება. მაგრამ მარტო ამით დასაქმება ვერ გაიზრდება, თუნდაც

იმიტომ, რომ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 300 000 ადამიანზე მეტი არის უმუშევარი. ეს მიშნავს, რომ თუ დამატებით 1 მლნ ტურისტი იძლევა 15 000 სამუშაო ადგილს, 300 000 უმუშევარი რომ დავასაქმოთ, საჭიროა ქვეყანაში დამატებით შემოვიდეს 20 მლნ ტურისტი, რაც ობიექტურად არის შეუძლებელი.

**– ანუ პრეზიდენტის გამოსვლის ეკონომიკური ნაწილი სწორად არ იყო გათვლილი?**

– რა თქმა უნდა. იმავდროულად, საუბარია პროფესიული გადამზადების ცენტრებზე. ეს ცენტრები მისასაღმებელი და სწორი გზაა. მაგრამ, ეს სიახლე არ არის. ამას საფუძველი ჩაეყარა კახა ლომიას განათლების მინისტრობის დროს. ამიტომ ამაზე ვერ ვილაპარაკებ, როგორც ახალ მოვლენაზე. საუბარი იყო პროგრამაზე უცხო ენის და კომპიუტერის შესწავლით მოსახლეობის დასაქმების შესახებ. ასეთი პროგრამა რეალიზებული იყო მხოლოდ თბილისში და იყო აბსოლუტურად წარუმატებელი. ანუ პრაქტიკულად უაზროდ დიდი იყო ხარჯები თითოეული ადამიანის მომზადებაზე, ხოლო მათი დასაქმება იყო ძალიან მცირე. ეს წარუმატებელი პროექტი ახლა თურმე უნდა განხორციელდეს საქართველოს 20 ქალაქში ერთდროულად, ანუ 20-ჯერ უფრო დიდი წარუმატებელი რამ გვექნება. იმავდროულად ითქვა, რომ ზაფხულში უნდა დასაქმდნენ სტუდენტები. ჩვენ ყველა არჩევნებზე ვიცით, როგორ აძლევს მერია სტუდენტებს ფულს დედაქალაქის დასუფთავებაში. შედეგი რა გვაქვს? არაფერი. უბრალოდ, ეს არის აშკარად ფულის გადაყრა ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა პოლიტიკურად ეს არის არჩევნების წინ ახალგაზრდების ხმების მოსყიდვა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, საინტერესო რამ ითქვა ირიგაციასთან დაკავშირებით. ქვეყანას სჭირდება ირიგაცია, ტექნიკა, მაგრამ მთლიანობაში მაინც ფრაგმენტული იყო პრეზიდენტის გამოსვლა. ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პროგრამა არ ჩანს. სააკაშვილმა ჯერ თქვა, საქართველოში უნდა შეიქმნას მექანიზაციის 12 ცენტრი, შემდეგ კი ლაპარაკობდა მხოლოდ 6 ცენტრზე. რაც შეეხება სოციალურ სფეროს და ჯანდაცვას, აქ ძალიან ბევრი საინტერესო რამ ითქვა. ითქვა დაზღვევის გაზრდაზე. რომ თურმე საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე უნდა იყოს დაზღვეული; რომ პენსიონერებს უნდა ჰქონდეთ

უღიმიტო სამედიცინო მომსახურება. ძალიან კარგი, მაგრამ, სად არის ამის საფინანსო რესურსი. როგორ აპირებს მთავრობა და პრეზიდენტი ამის გაკეთებას.

**– ეს პრეზიდენტის მორიგი ტყუილი დაპირებაა?**

– მე ამის შეფასებას მხოლოდ მას შემდეგ შევძლებ, რაც მთავრობა მოამზადებს 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს. ამ წლის ბიუჯეტში ეს თანხები არ არის ჩადებული. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თურმე ყოველ მესამე ბავშვმა უნდა მიიღოს 1000 ლარი, ანუ ყოველი მესამე ბავშვიდან უნდა დაიწყოს ფინანსური დახმარების გაცემა, როგორც ცნობილმა ქართველმა დემოგრაფმა ავთანდილ სულაბერიძემ მითხრა, თურმე არსებობს გაეროს კონვენცია, რომლითაც მსგავსი რამ არ შეიძლება და ამას ჰქვია ბავშვთა დისკრიმინაცია. ყველა ბავშვი ბავშვია და არ შეიძლება დისკრიმინაციულად ოჯახს დამხარება მიეცეს მხოლოდ მესამე ბავშვიდან. პირველმა ორმა რა დააშავა? ანუ პრეზიდენტის ეს ინიციატივა არის გაეროს კონვენციის დარღვევა. ამავე დროს ძალიან უხერხული იყო, როდესაც პრეზიდენტმა პატრიარქს მიმართა. თურმე პატრიარქი ამ მიმართულებით უკვე ზრუნავს და ახლა ჩვენ ერთობლივად გავაგრძელებთ ამ საქმესო. ამით უხეშად რომ ვთქვათ, პრეზიდენტი პატრიარქს “წილში ჩაუჯდა”. თუმცა ეს გასაკვირი არ არის. შეგახსენებთ, რომ როდესაც პატრიარქი გამოვიდა ინიციატივით, რომ ჯვარდაწერილი ოჯახების ყოველ მესამე ბავშვს თვითონ მონათლავდა, ცოტა ხანში ასეთივე გამოსვლა ჰქონდა პარლამენტში პრეზიდენტს და თქვა, რომ ბიზნესმენს, რომელიც ათას სამუშაო ადგილს გახსნის, მე ბავშვს მოვუნათლავო. სააკაშვილის ეს ინიციატივა ჩაფლავდა.

**– შეიძლება ვთქვათ, რომ პრეზიდენტი ეკონომიკურ ნაწილში მოუმზადებელი გამოვიდა?**

– სამწუხაროდ, ეს ასეა. იმავდროულად, ეკონომიკური კუთხით პრეზიდენტმა ორი საინტერესო წინადადება წამოაყენა. მისი განცხადებით საქართველო მიადწევს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს წელიწად-წელიწადნახევარში. ჩვენ გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა 2011 წლის თებერვალში, როცა მან თქვა, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა შესაძლებელი იქნება 2015 წელს. ახლა კი ამის შესრულება 2013 წლის ბოლომდე რეალური გახდა. მაგრამ ამას დიდი ეჭვის თვალით ვუყურებ, იმიტომ, რომ ამისთვის სააკაშვილს

დასჭირდება გილაურის მთავრობის შეცვლა, რადგანაც გილაურის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბრიუსელის მიერ წამოყენებული პირობები არ იქნას საქართველოს მთავრობის მიერ შესრულებული.

– ანუ პრემიერ ნიკა გილაურის კურსი პრეზიდენტმა უარყო?

– თუ სააკაშვილს აქვს იმის ზეგავლენა, რო გილაური აიძულოს აკეთოს ის, რომ მართლაც საქართველო დაუახლოვდეს სწრაფად ევროკავშირს, მე ამას მივესალმები.

ცალკე უნდა არინიშნოს ის, რომ სააკაშვილის აზრით საქართველოს ეკონომიკას რუსეთის ეკონომიკაზე ორჯერ მეტი ზრდის ტემპი უნდა გვქონდესო. საქართველო ზრდის ტემპით უკვე უსწრებს რუსეთს. ოფიციალური სტატისტიკით რუსეთში 2010-11 წლებში რუსეთში იყო სადღაც 4%-ზე მეტი ზრდა, საქართველოში კი 6%-ზე მეტი ზრდა. ანუ 50%-ზე მეტია საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი, ვიდრე რუსეთში. ისიც შეიძლება, რომ რუსეთში ზრდის ტემპი ისევ 4% იყოს და საქართველოში 8%, მაგრამ მერე რა? ეკონომიკურად ეს რას ნიშნავს პრეზიდენტს არ აუხსნია!

**შორენა კოწოწაშვილი**